http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=2&actId=2...

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31030094140022

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220927490

რეგისტრაციის თარიღი

22.07.2022 წ

ნოტარიუსი: ალექსანდრე ჩალაური
მისამართი: ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ, N23
ტელეფონი: 595053399 +995 32 2 111 775

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ʃიათას ოცდაორი წლის ოცდაორ ივლისს მე, ნოტარიუს ალექსანდრე ჩალაურს, რომლის აანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N23, მომმართა მოქალაქე ლევან ბეიტრიშვილმა შპს მუხიანი პრომეთე -ს (ს/კ 204576636) დირექტორმა თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16015858, 08/02/2016 16:45:23 მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ლევან ბეიტრიშვილმა(დაბადების თარიღი:28.03.1974წ. დაბადების ადგილი: თბილისი პ/#01003005705 რეგ.მისამართი: ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, IVა მიკრო/რაიონი, კორპუსი 9, ბინა 94.) მომმართა. მე შევამოწმე მოქალაქის ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევამოწმე უფლებამოსილება თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ,რეესტრიდან, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს. ასევე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე www.enreg.reestri.gov.ge, შპს მუხიანი პრომეთე -ს (ს/კ 204576636) სადამფუძნებლო საქმე. შემდეგ „მიმნდობს" ჩემს მიერ განემარტა მინდობილობის შინაარსი და სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, ლევან ბეიტრიშვილი(დაბადების თარიღი:28.03.1974წ. დაბადების ადგილი: თბილისი პ/#01003005705 რეგ.მისამართი: ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, IVა მიკრო/რაიონი, კორპუსი 9, ბინა 94.) როგორც შპს მუხიანი პრომეთე -ს (ს/კ 204576636) დირექტორი - „მიმნდობი", კახა მურცხვალაძეს(დაბადების თარიღი:10.03.1974წ. დაბადების ადგილი: თბილისი პ/#01007001628 რეგ.მისამართი: თბილისი მისამართის გარეშე) „მინდობილ პირს" ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: იყოს კომპანიის წარმომადგენელი ნებისმიერ საჯარო და კერძო დაწესებულებებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (მერია, საკრებულო, გამგეობა), ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის ორგანოში, საპროექტო სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ იუსტიციის სახლში, რათა აწარმოოს ჩემს საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მშენებლობითი, სარემონტო-საპროექტო სამუშაოები. მათ შორის აიღოს ქ. თბილისის მერიიდან სამშენებლო-სარემონტო ნებართვა საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიასთან ერთად მასზე დატანილი სერვიტუტის ფენით და ფართობის მითითებასთან, დამტკიცებასთან, სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, პროექტის შედგენასთან, ჯარიმის გადახდასთან, ნებისმიერი პროექტის შეტანასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებით, მოიპოვოს ნებართვები, გააგრძელოს ნებართვის ვადა, შეადგინოს /გადააკეთოს პროექტი, შეიტანოს პროექტი, მოახდინოს ცვლილების შეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში, გაასწოროს ხარვეზები, აქტიურის ელექტრონული ვერსია, ხელი მოაწეროს ნებისმიერ საბუთს, თანხმობას, განაცხადს, განცხადებას, შეაგროვოს ყველა საჭირო საბუთი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით.

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3(სამი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ალექსანდრე ჩალაურის სანოტარო ბიუროს არქივში და მას თან ერთვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16015858, 08/02/2016 16:45:23

მუხიანი პრომეთე -ს (ს/კ 204576636) სადამფუძნებლო საქმე.
ადგილზე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან
ერთი ინახება ნოტარიუს ალექსანდრე ჩალაურის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა
წარმდგომს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, აქედან: 30 (ოცდაათი) ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების მუხლი 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად),და რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად) და დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ლევან ბეიტრიშვილი .....

ნოტარიუსი ---------- /ალექსანდრე ჩალაური